

სს „ანა ჯგუფი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200004057

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

სს "ანა ჯგუფი"


საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	2672840	2796827
მომსახურების გაწევიდან	2672840	2796827
გაყიდვების თვითღირებულება	0	-22925
საერთო მოგება	2672840	2773902
დასაქმებულთა ანაზღაურება	-513270	-488721
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-376800	-406898
საპროცენტო შემოსავალი	7	5
საპროცენტო ხარჯი	-119949	-247306
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-695407	-806486
სულ საოპერაციო ხარჯები	-1705419	-1949406
საოპერაციო მოგება	967421	824496
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-120908	3157
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	178	18684
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	846691	846337
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-36740
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	846691	809597
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	846691	809597
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5139050	4329453
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5985741	5139050


ხელმომწერები:

დირექტორი:



დავით ცაავა

მთ. ბუღალტერი:



ოლღა ადუაშვილი



სს "ანა ჯგუფი"

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	375971	248525	210596
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	766207	836575	800706
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19885	19885	226176
მარაგები	20793	22798	24207
სხვა	20793	22798	24207
ძირითადი საშუალებები	6482386	6799638	6041925
სულ აქტივები	7665242	7927421	7303610

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	7136	26334	0
საგადასახადო ვალდებულებები	174954	37574	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	337358	1684358	2181358
სხვა ვალდებულებები	1160053	1040105	792799
სულ ვალდებულებები	1679501	2788371	2974157

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	659538	659538	659538
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5326203	4479512	3669915
სულ საკუთარი კაპიტალი	5985741	5139050	4329453
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7665242	7927421	7303610

ხელმოწერები:

დირექტორი:

დავით ცაავა

მთ. ბუღალტერი:

ოლღა ადუაშვილი



სს "ანა ჯგუფი"

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)	127446	37929
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	127446	37929
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	248525	210596
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	375971	248525

ხელმომწერები:

დირექტორი:

დავით ცაავა

მთ. ბუღალტერი:

ოლღა ალუაშვილი



სს "ანა ჯგუფი"-ს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

დავით ცაავა



ზოგადი ინფორმაცია

სს „ანა ჯგუფი“ რეგისტრირებულია საქართველოში და იურიდიული პირის სტატუსს ღებულობს სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის დღიდან. სს „ანა ჯგუფი“ არის მისი წინამორბედის სს „თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა“-ის სამართლებრივი მემკვიდრე. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის თბილისი, ჭყონდიდელის 56. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება. კომპანია პერიოდულად ახდენს გასაქირავებელი ფართების რეკონსტრუქციას და რემონტს დაქირავებული კომპანიების საშუალებით სანარდო ხელშეკრულებების საფუძველზე ან საკუთარი ძალებით. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ანა ჯგუფი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ORIS“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

კომპანიის დამფუძნებელი არის აქციების 100 % წილის მფლობელი. აქციონერთა კრების მიერ არჩეულია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისაგან. საზოგადოების ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი დავით ცაავა.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

მიმდინარე წელს მოხდა შემოსავლების სამსახურის მიერ კომპანიის აუდიტი. ამის შედეგად მოხდა კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობებზე ქონების გადასახადის გადანაწილება საბაზრო ფასით, რამაც გამოიწვია ქონების გადასახადის ზრდა.

ამონაგები

2020 წლის შემოსავალი 2 672 840 ლარის ოდენობით მოიცავს ამონაგებს საიჯარო მომსახურებიდან და იჯარის თანამხლები მომსახურებებიდან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა. კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 337 358 და რომელიც აღებული იქნა ძირითადი საშუალებების მშენებლობა-რეკონსტრუქციისთვის.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.